ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის გაცემის შესახებ დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია (შემდგომში - ,,პრემია") მიენიჭება უცხოელ (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირს) მეცნიერებს ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

მუხლი 2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის კომისია

1. პრემიის მინიჭების ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საუნივერსიტეტო საპრემიო კომისია (შემდგომში – „კომისია") 7 წევრის შემადგენლობით.
2. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება პრემიის გაცემამდე არანაკლებ 5 თვით ადრე.
3. ფაკულტეტებთან კონსულტაციის შედეგად შერჩეულ კომისიის შემადგენლობას, მისი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის კანდიდატურებს რექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") აკადემიურ საბჭოს.
4. კონკურსის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დახმარებით.

მუხლი 3. პრემიის მინიჭებისა და გაცემის გადაწყვეტილების მიღების წესი

1. პრემია გაიცემა ქართველოლოგიაში შექმნილი საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომისათვის (ნაშრომთა ციკლისათვის) 2 წელიწადში ერთხელ, საპრემიო წლის აპრილის თვეში.
2. პრემიის მოსაპოვებლად კომისია განცხადებას ავრცელებს არასაპრემიო წლის 1 დეკემბერს. პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატურების წარდგენა უნდა მოხდეს არა უგვიანეს არასაპრემიო წლის 31 დეკემბრისა. კომისია პრემიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას აცხადებს არა უგვიანეს საპრემიო წლის 1 თებერვლისა.

3. კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილი კანდიდატების სამეცნიერო შედეგების შესწავლის საფუძველზე ღია კენჭისყრით გამოავლინოს ერთი გამარჯვებული. გამონაკლის შემთხვევაში პრემია შეიძლება გაიყოს ორ კანდიდატს შორის.

4. განცხადება პრემიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტში".

5. კონკურსში გამარჯვებულს არა უგვიანეს საპრემიო წლის 15 თებერვლისა უნდა ეცნობოს კომისიის გადაწყვეტილება პრემიის მოპოვების შესახებ და მოწვეულ იქნას დაჯილდობის თარიღისათვის. მოწვევის ხარჯებს გაიღებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

6. პრემიის მისაღებად კომისიისთვის კანდიდატების წარდგენა შეუძლია შესაბამისი ფაკულტეტ(ებ)ის საბჭოს, თსუ-ს პროფესორთა ჯგუფს ან ქართველოლოგიური დარგის პროფესორს ინდივიდუალურად. კომისიის წინაშე კანდიდატის წარდგენა ასევე შეუძლია შესაბამისი სამეცნიერო პროფილის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებას/დაწესებულებებს, მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფს ან მეცნიერ-თანამშრომელს ინდივიდუალურად.

7. კანდიდატის სამეცნიერო მიღწევებს კომისია შეაფასებს წარმდგენ(ებ)ის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე.

მუხლი 4. პრემის ოდენობა და დამატებითი პირობები

1. საპრემიო თანხა შეადგენს 20 000 ლარს.

2. ერთი და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

3. პრემირებული მეცნიერ(ებ)ის საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება საპრემიო წლის აპრილის თვეში.

4. პრემირებული მეცნიერი დაჯილდოვდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო საპრემიო დიპლომით, რომლის ნიმუში მტკიცდება რექტორის ბრძანებით.